ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 5 ოქტომბერი 1908 წ.



გოდება რედაქტორისა.

ნეტა რა წყალში ჩავარდე,
ველარ მოვსულვარ გონშია,
ჟურნალ-გაზეთის სახელი
ადარ ჩანს ლექსიკონშია.

,,ლობიოს'' ხომ ვერ დავარქმევ?
,,ბოლოკიც'' უხერხულია...
არც ,,ხახვი'' შეეფერება,
სწორეთ გამისკდა გულია!!!

ძველათ.ეს საქმე საძნელო,
არ გვქონდა სადარდელათა:
შუბლზე თითს მიიბიჯებდი
და გაჩნდებოდა ხელათა.

დღეს კი იცვალა დროება,
წაგვიხდა, გადასხვაფერდა,
გაზეთებს მუსრი ევლება,
მხოლოდ ,,ამირან'' დაბერდა.

ნეტა რა წყალში ჩავარდე
ამ გასაჭირის მნახველი:
გაზეთი მინდა გამოვცე,
მაგრამ ვერ ვპოვე სახელი.

*
* *

ოცნებავ! ფრთები შემასხი,
მასტუმრე უცხო მხარესა,
სადაც ადგილი არა აქვს
კვნესას და სიმწუხარესა;
სადაცა შრომა ბატონობს,
თანასწორია სუყველა,
ერთი მეორეს არ ჩაგრავს,
სისხლს არ სწოვს როგორც წურბელა...
მსურს წუთით მაინც გავშორდე
ამ ბოროტების ზღუდესა,
ტანჯვა-წამების სამეფოს,
უსამართლობის ბუდესა
და იქ, იმ ტურფა მხარეში,
დავიცხრო გულის ტკივილი,
მივეცე ნეტარებასა,
შევწყვიტო კვნესა, ჩივილი!..

ვ. ჩახრუხაძე.

*
* *

ცას ღრუბელი ჩამოსტირის,
ქარიც მოსთქვამს გლოვის ზარზე
ზღვას აგოდებს, ტყეს აკვნესებს,
რისხვით დაძრწის მთა და ბარზე.
ქეჩო აყრილ მთის ნაკადულს
გაშმაგებულ-განახელებს,
მიაქვს ხევი „ვაი-ვუით“,
გულს უზარებს მინდორ-ველებს.
სტირის ძეწნა და ტირიფი,
ალვის ხე სულ წელში ტყდება,
მხოლოდ მუხა სდგას ამაყათ
ოდნავათაც არ იხრება
რას უქვიან წელში მოხრა?
რას უქვიან დრეკა ქედის?
მან არ იცის მტრის წინ შიში
და მოთმენა სიშავბედის!
მეც მსურს მუხას დავედარო,—
გასაჭირს არ ვიფერებდე
და მტრის ძლიერ იერიშებს
სასახელოთ ვიგერებდე!

ნ. ზომლეთელი.

*
* *

(ვუძღვნი ი. ჩ-ას)

შავ ფიქრთ გადვიყრი გულიდან,
მოვმართავ ჩანგის სიმებსა,
ზედ დავამღერებ, ჩავაქსოვ
ცხოვრების ახალ ჰიმნებსა.
უკუღმართ ღმერთებს შევრისხავ,
შევძრავ ჯოჯოხეთს შავ-ბნელსა,
მოვთქვამ და მოვთქვამ მწარ ენით
ჩაგრულის ვარამ-ნაღველსა.
მოვსთქვამ: „სიკვდილი თარეშობს,
სიცოცხლე მისგან მკვდარია,
არც ცრემლი შრება თვალებზე
არც ველზე სისხლის ღვარია.
ყვავ-ყორანთ გუნდი გალაღდა
დრო უდგათ ბედით მთვრალებსა:
ბრძოლისა ველზე დაცემულთ
ჰკორტნიან ლამაზ თვალებსა.
ატირდა მიწა სამშობლოც
იგლოვს თვის ნანატრ შვილებსა,
თავისუფლების მედროშეთ
ბრძოლაში გამოწრთვნილებსა
იგლოვს და ცრემლათ ილევა
მწუხარე გული დედისა,
ცას კრულვას უძღვნის მრისხანე,
მომდურავია ბედისა.

II

ძმავ-მეგობარო, ჩვენ ამ ხვედრს
ადრევე ველოდებოდით,
ვიცოდით ბევრი ჩვენგანი
ბრძოლაში დავეცემოდით.
ვიცოდით, თავისუფლება
მრავალ მსხვერპლს შეიწირავდა,
ცხოვრების მკაცრი ტალღები
ბევრ ჩვენგანს ჩაიძირავდა.
ვიცოდით დიახ, ვიცოდით
არ დაგვზოგავდა მტარვალი,
მტრის მუხანათი მახვილით
გაიგმიროდა მრავალი.
მაგრამ ჩვენ მაინც ვიბრძოდით
ხვედრი ვერ შეგვაშინებდა,
ვიცოდით მსხვერპლი მომავალს
ნიადაგს დაუმზადებდა.
ვიცოდით ჩვენი ყიჟინი
იმოქმედებდა მძინარზე,
ძლივს მბჟუტავ, ობოლ ნაკვერცხალს
გააღვივებდა კერაზე.
და აჰა კიდეც აღსრულდა
გამართლდა ჩვენი ფიქრებიც:

ბევრია მსხვერპლი, მაგრამა
ბევრი დაჰბადა გმირებიც...
შავ ფიქრთ გადვყრი გულიდან,
მოვმართავ ჩანგის სიმებსა,
უკუღმართ ღმერთებს შევრისხავ,
სალამს მიუძღვნი გმირებსა.

ნ. ჩხიკვაძე.



ბალკანეთი

საერთაშორისო პოლიტიკური ცა შავი ღრუბლებით შეიმოსა. ჰაერში თოფის წამლის და სისხლის სუნი ტრიალებს და სულ ადვილი მოსალოდნელია ახლო მომავალში იქექოს საერთაშორისო ზარბაზანმა და მთელ ქვეყანას ამცნოს: „კმარა მშვიდობიანობა, დროა ადამიანთა სისხლით მოირწყოს მინდორ-ველი და ხმალმა და ტყვიამ გადასჭრას ის მწვავე საკითხები, რომლებიც ევროპის სახელმწიფოებს ძილს უფრთხობს“.

ასეთია დღეს საერთაშორისო პოლიტიკის მდგომარეობა.

ოსმალეთში კონსტიტუციონურმა მოძრაობამ თავზარი დასცა მეზობელ სახელმწიფოების რეაქციონურ პარტიებს. ოსმალეთის გამოღვიძება, ძველი რეჟიმის დამხობა და კონსტიტუციონურ წესწყობილების შემოღება მეტათ ცივათ მოხდათ გულზე რეაქციონერებს და შესდგა უკვე შეთქმულობა ხელი შეუშალონ ახალგაზდა ოსმალეთის განახლებას. ავსტრო-უნგრეთმა გადალახა ბერლინის ტრაქტატი და ბოსნია-ჰერცოგოვინა თავისს საკუთრებათ აღიარა, ამავე მიზნით ბოლგარიის თავადმა ფერდინანდმა თავი მეფეთ გამოაცხადა და ბოლგარია დამოუკიდებელ სამეფოთ. ბერლინის ტრაქტატის ძალით არც ერთს და არც მეორეს არავითარი უფლება არ ქონდა სხვა სახელმწიფოების დაუკითხავათ მოეხდინათ ასეთი მნიშვნელოვანი აქტი. ასეთ მოქმედებით ბოლგარეთმა და ავსტრო-უნგრეთმა დაარღვიეს ის პრინციპი, რომლითაც ორმოცდა ათის წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ევროპის პოლიტიკა. ამ პრინციპით აღმოსავლეთის საკითხი ყველა უმთავრეს სახელმწიფოებს ერთათ უნდა გაერჩიათ. ხოლო ერთ სახელმწიფოს არას დროს უფლება არ ქონდა გადაეჭრა ეს საკითხი. უკეთუ ეს მოხდებოდა ამას ან ომი მოსდევდა და ან საერთაშორისო კონფერენცია. დაირღვა ევროპის კონცერტი. ბერლინის ტრაქტატი მხოლოდ ნაგლეჯ ქაღალდზე დარჩა. ავსტრო-უნგრეთი ბევრს არას დაკარგავს ბერლინის ტრაქტატის დარღვევით. მისთვის მხოლოდ საჭირო იყო მარჯვე დრო და აი კიდეც დადგა ეს დრო. სანამ განახლებული ოსმალეთი გამაგრდებოდა მან ხელიდან გამოგლიჯა ბოსნია-ჰერცოგოვინა. ასევე მოიქცა ბოლგარეთიც. ამ მოულოდნელმა ამბებმა ძლიერი პროტესტი გამოიწვიეს როგორც ოსმალეთში, ისე ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებში, ხალხი მეტათ აღელვებულია, მოითხოვენ ავსტრიის წინააღმდეგ გალაშქრებას. ბელგრადში ავსტრო-უნგრეთის საელჩოს წინ დიდებული მიტინგი მოხდა. მიტიინგს აუარებელი ხალხი დაესწრო. მიტინგის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია. ხალხი ხმა მაღლა მოითხოვდა დაუყონებლივ გამოეცხადოს ომი ავსტრო-უნგრეთს ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთების გამო. ასეთივე რეზოლიუცია გამოიტანეს პეტერბურგში მცხოვრებ სერბიელებმა. თუმცა ავსტრიის მთავრობა ირწმუნება ბოსნია-ჰერცოგოვინის შემოერთება ტერიტორიალურ შეძენის მიზნით არ მომხდარა, რომ ახლო მომავალში მათ სრულ ავტონომიას მიანიჭებს, მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს სერბიის ხალხს. სერბიის ხალხი იარაღს ისხამს. ხმალს ლესს ავსტრო-უნგრეთი, ბოლგარია და ოსმალეთიც. ჯერ-ჯერობით მხოლოდ დიდებულათ სდუმან ძლიერი სახელმწიფოები. მხოლოდ როცა ბალკანეთის კუნძულზე ცეცხლი გაჩნდება მათი, წინდაწინვე მომზადებული, დამალული ხმალი-ჰაერში გაიელვებს და თავისს გზას მონახავს. მოსალოდნელ სამშვიდობო კონფერენციის წევრებს ზარბაზნების გრიალი დაუტკბობს ყურთა სმენას.

ოსმალეთი

ავსტრო-უნგრეთის და ბოლგარიის მიერ ბერლინის ტრაქტატის დარღვევამ სხვა სახელმწიფოებსაც აუშალა საღერღელი ახალგაზდა ოსმალეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ, რომ საკბილო რამეს გამორჩეს. კუნძულ კრიტის გლეხებმა კრიტი საბერძნეთთან შეერთებულათ გამოაცხადეს. ეს არც ოსმალეთის მთავრობას გაუგია და არც საბერძნეთისას. მხოლოდ ამ დღეებში მოწვეულმა დეპუტატთა პალატამ უკვე აღიარა კრიტი საბერძნეთთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეერთებულთა. რუსეთმა თავის მხრით ასეთი ულტიმატუმი წაუყენა ოსმალეთს: გახსენი დარდანელი ჩემი სამხედრო გემებისთვის და სრული გარანტია მომეცი, რომ კავკასია შენგან ხელუხლებელი იქნებაო. ამგვარათ განახლებულ ოსმალეთს დღეს საფრთხე მოელის, მომხდარი აქტები ფრიად ხელსაყრელია ოსმალეთის რეაქციონურ ელემენტებისთვის და კიდევაც თავი წამოყვეს, რომ გაიღაშქრონ ახალი წეს-წყობილების წინააღმდეგ.

—

ოსმალეთში ავსტრო-უნგრეთის და ბოლგარიის წინააღმდეგ მეღელვარება დღითი დღე მატულობს. 25 სექტემბერს კონსტანტინოპოლში გაიმართა ილდიზ კიოსკის წინ დიდებული დემონსტრაცია. დემონსტრანტები მივიდენ სამხედრო სამინისტროს შენობის წინ და დაჟინებით მოითხოვდენ ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას. ხალხი ავსტრო-უნგრეთის და აგრეთვე გერმანიის წინააღმდეგ მეტათ აღელვებულია. წინა დღით თავი მოყარა 12 ათასმა ხოჯამ და ფიცი დასდეს მოითხოვონ ბოლგარეთთან ომი. სტამბოლის მიდამოებში მოწოდებები გააკრეს და მოუწოდებენ ხალხს იომონ ბოლგარეთის წინააღმდეგ: „ორმოცი ოსმალი ერთი ბოლგარელის წინააღმდეგ“ ნათქვამია მოწოდებაში. ხოჯები მივიდენ სულთანის სასახლესთან. სულთანი სარკმელს მიადგა. ხოჯებმა განუცხადეს, რომ მზათ არიან წავიდენ საომრათ. სულთანმა უპასუხა, რომ სანამ ის და მისი შვილები ცოცხალი იქნება, ყველა მისი ქვეშევრდომების უფლებები დაცულ იქნება. რადგან ოსმალები იარაღდებიან ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის საელჩოებმა ბრძანება გასცეს მზათ იყვენ არქიპელაგთან სამხედრო გემები.

—

სულთანმა აბდულ-ჰამიდმა უარყო მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება სამი „არმეისკი“ კორპუსის მობილიზაციის შესახებ. მიუხედავათ ამისა ექვს გარეშეა, რომ ოსმალეთში ჯარების მობილიზაცია უკვე დიაწყო. 25 სექტემბერს ბოსფორში შესვლა მოიხდომა ბოლგარიის გემმა, რომელზედაც „სამეფო დროშა იყო აღმართული, მაგრამ ზარბაზნები ესროლეს და არ შეუშვეს.

სპარსეთი

მიუხედავათ ოსმალეთის უკაბედი განახლებისა, მიუხედავათ მაროკოსა და ბალკანეთის ამბებისა, სპარსეთის რევოლიუციი და კერძოთ მისი მთავარი ბურჯი, თავრიზი, საყოველთაო ყურადღებასა და თანაგრძნობას იპყრობს.

ასეთი თანაგრძნობა აიხსნება როგორც ზახის მიერ ნაწარმოებ სასტიკი რეაქციით, აგრეთვე რევოლიუციონერთა თავგანწირული ბრძოლითა და სიმამაცით. ამ ბოლო ხანებში ბევრი ცვლილება მოხდა მებრძოლთა შორის და ერთ დროს საფუძვლიანი შიში ზახის ჯარების მიერ თავრიზის აღებისა, დღეს უსაფუძვლოთ შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც წინა წერილებში ვწერდით, თავრიზი ორ, რეაქციონურ და რევოლიუციონურ ბანაკებათ იყო გაყოფილი. რეაქციონერებს ეჭირათ სამი უბანი ქალაქისა: დავაჩი, სურგაბი და შიშკილანი. მთელ ქალაქს კი ზახისა და მაქოლთა ჯარი ერტყა ეინ-უდ-დოულეს წინამძღოლობით. რამოდენიმე იერიშის შემდეგ მაქოლები შეიკრენ თავრიზში და აიღეს ზოგიერთა პოზიციები რევოლიუციონერებისა. უმთავრესი მათგანი აჯიჩაის ზასტავა კიდევაც შეინარჩუნეს, ხოლო დანარჩენები უკანვე დაიბრუნა სათარ-ხანის რაზმმა კავკასიელ ფიდაების თავგანწირული ბრძოლით.

დამარცხებით გაბრაზებული და თანაც უდისციპლინო ზახის ჯარი ძარცვა-გლეჯას მიეცა, რის გამო ქალაქში სანოვაგე ვეღარ შემოიტანეს და შიმშილი ჩამოვარდა. შიმშილთან გმირობა—ვაჟკაცობა ვერაფერს გაიწყობს და მოსალოდნელი იყო სათარ-ხანის მომხრეებსა და თანაც მის მებრძოლ რაზმს საქმეს გაუჭირვებდა, მაგრამ ჯერჯერობით თავრიზის რევოლიუციონერთა სიმხნევე ამით არ შეფერხებულა.

ამას მოყვა აგრეთვე ზოგიერთ პროვინციების აჯანყება ზახის წინააღმდეგ და ხანების ხანებზე მისვენა, რაიცა საქმეს გაართულებს. თავრიზის მაგალითის სხვა პროვინციის ქალაქებმაც მიბაძეს და აშკარათ ამხედრდენ მთავრობის წინააღმდეგ. ზახის ჯარების მიერ სრულიად უდანაშაულო სოფლების აკლება, ბავშვებისა და ქალების გაუპატიურება ცეცხლზე ნავთს ასხამს და მშვიდობიან, მოშიშ სპარსელ გლეხობას აჯანყებისაკენ მიაქანებს.

ამ ბოლო დღეებში თავრიზის გმირებმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს და მთელი ქალაქი ხელში ჩაიგდეს. პირველათ სათარ-ხანის რაზმს დავაჩის უბანი დანებდა, ხოლო შემდეგ ორი დანარჩენიც. რევოლიუციონერებმა ხელში ჩაიგდეს მთელი იარაღები და რამოდენიმე ზარბაზანი. ეს გამარჯვება რა თქმა უნდა, უფრო გაამხნევებს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმებს და რევოლიუციის მსვლელობაზე დიდ გავლენას მოახდენს. ამგვარათ დღეს მთელი თავრიზი სათარ-ხანის რაზმელთა ხელშია და განუწყვეტელი მუშაობით აგებენ ახალ სიმაგრეებს. მოსალოდნელი რევოლიუციის დროს ყველაფერია, მაგრამ ეინ-უდ-დოულეს ჯარისაგან თავრიზის სიმაგრეებზე იერიშის მიტანა ძლიერ საეჭვოა. ეს მით უმეტეს, რომ თვით ჯარში და მის უფროსებში მუდმივი შუღლის გარდა, ზამთარიც მალე მოატანს. ეინ-უდ-დოულემ რამდენჯერმე ითხოვა თანამდებობიდან გასვლის ნებართვა, მაგრამ ჯერ სულ უარს ეუბნებოდენ, მხოლოდ უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ეინ-უდ-დოულე მთელი თავისი რაზმით უკვე გაემართა უკან თეირანისაკენ. ცხადია, მან შესაძლოთ ვერა სცნო ზახის ჯარების იერიშით თავრიზის სიმაგრეების აღება და მით რევოლიუციონერთა დამორჩილება.

ამასთანავე დეპეშათა საადგილოს ცნობებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქო შეიწყნარეს ეინ-უდ-დოულეს თხოვნა და სამსახურიდან გადააყენეს, ხოლო მის ნაცვლად დანიშნეს ფერმან-ფერმა.

ვნახოთ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

მესტვირული.

გულით გთხოვ ძმაო ეშმაკო,
რომ დღეს მათხოვო სტვირია,
ნუ დაიშურებ გენაცვა,
დღეს ჩემთვის ერთობ ძვირია.
მსურს აგიწერო „კაკო“-ის
ჩაპუდრულ ბაგე-პირია
და შევადარო ახოვანს,
მოხუცი, ბერი სირია.
მეორე არის მოხუცი,
განათლებაზე მწყრალია,
ქანქარის მოსიყვარულე
„ნიშადურზედაც“ მყრალია.
„ზუბრისა“ ჯიშსა ეკუთვნის
იმათი მოდგმის გვარია
ჩიბათი, ლესა, ჯუმათი
სამწყესად მას აბარია.
ავსული ბაწარ ჩაბმული
წინ უხტის—მაიმუნია,
ისე სჩვევია სიყალბეს,
როგორც ბატონი გუნია,
კარ და კარ დაყავს საწყალი,
ცხოვრება მონაჭამია,
სარჩო სხვაც უნდა ზედ მეტი
რას უზამს მარტო ქრთამია
ძნელია მათი სტუმრობა,
იმათი ენა შხამია
და ყველა ისე გაურბის
როგორც გველს, ჩემო ძამია.
აწ ჩავუმღეროთ ქარქაშას
გიორგი.ტან-ახოვანსა,
ნესტორ ჭყონიას გამურულს,
ღიპიან, დიდ-მუცლიანსა.
პირველის კანდიდატები
ეს ვაჟბატონნი არიან,
ენის სისინით საომრად
მიდიან, მიუხარიან.
გაგვიპალურეს დიმიტრი
მამასახლისი, ქებული,
ზედ მიაყოლეს მწერალი,
ჯუმათში ყბა ახეული.
ცოტა რამ უთხრათ გიგოსაც
დუქნის ფულები იმასქნა
დანარჩენებზედ შემდეგში
ჩავიღიღინოთ ვინ რა-ქნა.

„სკვინჩა“

* *
*

(სპარს-ოსმალეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამო).

ცხორების დიად ტრაპეზზე
ცეცხლი გუზგუზით ბრიალებს,
სისხლით იცლება ზვარაკი
და ტრაპეზის წინ ხრიალებს,
მსხვეოპლი მსხვერპლს მისდევს ურიცხვი
შესაწირავი ტრიალებს,
შორით კი მოსჩანს ცისკარი
წითლად მოიალციალებს!..
და ეს ხომ განთიადია
ჩაგრულთა დღესასწაულის,
ნიშანი თავისუფლების,
დიადი კაცთ-სასწაულის,
ცხოვრების ცის კიდესა რომ
წითელ არშიათ გაუვლის,
ტანჯულ ქვეყანას დაჰყურებს,
იმედით ატკბობს და უვლის...
ცეცხლი კი კვალად ტრაპეზზე
ღვივის და წითლად ბრიალებს,
წინ განმზადილი ზვარაკი
სისხლით იცლება, ხრიალებს,
მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს... ურიცხვი
შესაწირავი ტრიალებს..
მაგრამ ჰა, მალე „მზეც შვების“
დროშას ამოაფრიალებს!..

ნ. ზომლეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი სურათი

(შავი ქვის მრეწველთა სასწორის ცხოვრებიდან)

სურათი პირველი.

(1905 წელი)

(მაგიდას უზის შუა ტანის, ქერა, გვარიანთ ჩასუქებული გვამი. სახეზე დიმილი უგრთის, ტუჩები უთამაშებენ, ეოგველი მისი მოძრაობა და ხმა ეველასადმი უსაზღვრო პატივისცემას და მორჩილებას გამოხატავენ. შეიარდებულ თვალებს ლ პარაკის დროს თითქოს ცრემლები ერევიან. ეიდაც კარების არასუნებს, მჯდომარე გვამი წამსვე ცბირეტივით მოწედება ადგილიდან და კარებთან მიირბენს)

გვამი. მობრძანდით ბატონო ჩემო, მობრძანდით ბატონო ჩემო, მობრძანდიან!.. ესასიამოვნოა თქვენი ნახვა!..

მთხოვნელი (გაიდებს კარებს და შემოვა ტანისამოსზე ეტყობა, რომ ის მუშაა. უბრალოთ აცვია, ხელები წელზე შემოუდგამს. იხდება თამამათ, აბიჯებს გაბედულათ) გეახლებით!.. სალამი!..

გვამი. (სიხარულით თითქო ფეხზე აღარა დგას; დიდის მოწიწებით ხელს ჩამოართმევს) იცოცხლეთ ამხანაგო, იცოცხლეთ! გაგიმარჯოსთ... დაბრძანდით გენაცვალე!.. უკაცრავათ გახლავართ!... თქვენი სახლია!..

მთხოვნ. არა უშავს. (ჯდება) ჩვენ მოვედით, რომ...

გვამი. (სიტყვას ჩამოართმევს) სხვა როგორ გიკითხოთ, ხომ კარგათ ბრძანდებით?

მთხოვნ. ვმადლობთ, კარგად! ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ ჩვენ მოვედით...

გვამი. (კიდევ გააწყვეტინებს) აა, მაგაზე მერმე. ახლა მითხარით გუშინდელი მიტინგის ამბები... ხომ...

მთხოვნ. ოო, შესანიშნავათ ჩავატარეთ!.. მარა უკაცრავად, მეჩქარება და...

გვამი. დიდი ბოდიში, თუ დრო დაგაკარგვინეთ! მე საზოგადოთ ასეთი ჩვეულება მაქვს. ყოველ შემთხვევაში უკაცრავად, დიდათ უკაცრავათ!.. მაშ ბრძანეთ!..

მთხოვნ. (ეტყვის რაც უნდა)

გვამი. დიდის კმაყოფილებით, რაც თქვენი სურვილი იყოს! მე თქვენი სურვილის წინ სხვა დროს როდის წავსულვარ, რომ ახლა წავიდე.

მთხოვნ. არა, თქვენ იცით ..

გვამი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, განმეორებაც მეტია. გისაყვედურებთ კიდეც, რომ ამ დრამდე არა სთქვითო? ეს ოხერი, მეც არ გამახსენდა, თორე უთქვენოთაც...

მთხოვნ. მაშ იმედი...

გვამი. რაღა თქმა უნდა!.. (მთხოვნელი დგება) რაღა თქმა უნდა!.. რათ ჩქარობთ, დაბრძანდით. ნუ თუ გაწყენინეთ რამე?

მთხოვნ. რისთვის ბოდიშობთ? მე მხოლოთ მეჩქარება, მეტი არაფერი.

გვამი. თქვენ იცით! ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ მოგეცადთ!.. იმედია მალიმალ მოგვინახულებთ...

მთხოვნ. (მიდის) ვეცდებით.

გვამი. (მივარდება გამოსამშვიდობებლათ) აბა თქვენ იცით!..

სურათი მეორე.

(1908 წელი).

(იგივე გვამი ახლა უმეცხთ ეზის მაგიდას, კალმის წრაპინ-წრაპინი ისმინეს ეურსაც კი ეწდ ბა. სავე ეასზღვრთ გასერიოზებულა ქვეს. დასჯთ მოძრაობს, ეველას მოკლე ბასეხს აძლევს, ა ი სიტ-ეეა ცხრას სამინ ლი მადა ამბობს.

იგივე გვამი. რაღაც კაკუნი ისმის!.. ფილიპე! ფილიპე (შემოდის მოხუცი) უდაკლადოთ აქ არავინ ვნახო... პირველ საათამდინ იცადონ! (მოხუცი ისევ გაიდა)

მთხოვნ. (რომელიც აგერ ორი დღეა გვამის ნახვას ელოდება) ბატონო თქვენი ჭირიმე!.. (გვამი ხმას არ იღებს, ზის და მკაცრის სახით სწერს). ბატონო!...

იგივე გვამი. ვინ შემოგიშვა?! რას გავს ეს! ფილიპე! (მოხუცი ისევ შემოდის) რას გაეს ეს? რა გიბრძანე მე?

ფილიპე. ბატონო პირველი საათია.

იგივე გვამი. არ არის.

ფილიპე. კი არის ბატონო...

გვამი. არ არის-მეთქი! მეორეთ არ მოგივიდეს, თორემ ან შენ და ან მე. (მთხოვნელს) რა გინდა შენ?

მთხოვნ. ბატონო, შენი ჭირიმე, მიშველე!..

გვამი. მალე თქვი ადამიანო! ნუ მაცდენ!

მთხოვნ. მე ბატონო დაზარალებული მუშა ვარ...

გვამი. მერე მე რა გიყო?

მთხოვნ. ფული... რო...

გვამი. რაო, ფული? იჰ! მოდი მადაზე? „ვვექნება მოგაცემთ, არ ვვექნება და არ მოგაცემთ!“

მთხოვნ. ბატონო! ცოლშვილი შიმშილით მეხოცება, მე მუშაობა არ შემიძლია...

გვამი. ესეც მე ვიდარდო? ახლა წადი.

მთხოვნ. რამოდენიმე მანეთი მაინც...

გვამი. წადი ღვთის გულისათვის. მომშორდი; მიდი და გამრეკელს მოელაპარაკე...

მთხოვნ. ბატონო, გამრეკელმა ამოიღო ჩემი წელი—ეს სამი წელიწადია, მეტი არა ვარ, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახრჩო. რაც მერგებოდა შუა გამიყო და ისიც ვერ ავიღე...

გვამი. მაშ მე რა ვუყო? წადი გამანებე თავი, მე შენსავით უსაქმო როდი ვარ...

მთხოვნ. ბატონო...

გვამი. მომცილდი-მეთქი; ფილიპე, გაიყვანე... (შეშინებული მთხოვნელი გადას).

სატანა.

ს ი მ ღ ე რ ა.

დიდი ვინმე არ გეგონოთ?
—მე მიწურში დავიბადე
კეღლებათ და სახურავათ
ჩვენს სახლს ჰქონდა წკნელის ბადე.
შუა ადგილს ცეცხლი გვენთო
ლოგინებათ გვეწყო ჭერი,
ორიოდე დოქი გვქონდა...
მორჩა... მეტი არაფერი.
როგორც შვენის ამგვარ ბინას,
დედაც მყავდა და მამაცა...
ფეხსაცმელათ მიწა გვქონდათ
და ქუდებათ კი მაღლა ცა.
ჩვენ გვიყვარდა: მღვდელი ბერი,
გვწამდა ხატი, გვწამდა ღმერთი
და ბედსა უმადური
არ ვყოფილვართ არცა ერთი.
დღე და ღამე ოფლს ვწურავდით
არ გვეთქმოდა სამდურავი,
მხოლოდ ეს კი ..სხვისთვის მშრომლებს
არ გვახსოვდა თავის თავი.
პირში წყალი დაგვეგუბა
ღმერთი იყო ჩვენთვის ყველა,
და ამგვარათ წუთისოფელს
მივათრევდით ნელა-ნელა.
ეხლა მაინც გაიგებდით
ვინ ვყოფილვარ, ვისი შვილი?
ყველაფერი მოგიყევით
დავივიწყე მე სირცხვილი..

ვ. მალაქიაშვილი.

მგოსანი შურისძიების.

—

საფლავის კარად მისული
უდროვოდ მოხუცებული,
ნაღვლიანი ხმით მოსთქვამდა
მგოსანი მირონცხებული:
„ვისაც ვუმღერდი—კვლავ სძინავს,
სძინავს სატრფოსა გულისას,
კვლავ ვისმენ კვნესას იმისას,
უზომოდ დაჩაგრულისას.
სულ მას ვუმღერდი, სულის სწორს,
მის ვარსკვლავს მზეს და მთვარესა,
ვუმღერდი თვალის წარმტაცსა
ჩემსა სამშობლო მხარესა!
ხრიაკ მიდამოდ ვიწვევდი ბრძოლის
ხმებს, ციურს წვიმასა
და მხოლოდ, მხოლოდ დროებით
ვაწყვეტინებდი გმინვასა.
დღეს ვხედავ—კვლავაც სწიწკნიან
სულის სწორს დაუნდობელად,
ყორნები, მოვლინებულნი
იმის მტანჯველად, მგმობელათ...
იმას კვლავ სძინავს, მშობელსა,
სძინავს სატრფოსა გულისას,
ვერავინ ისმენს ურჩ ხმასა,
უზომოდ დაჩაგრულისას...
გაქარწყლდა ყველა იმედი...
ბრძოლად მივიწვევ გმირებსა:
ნუ ივიწყებენ კუთხეებს,
მტრებისგან განაწირებსა...
სამარის კარად მისულის
ამას სწერს ჩემი კალამი:
ფრთა შეისხ შურისძიებავ;
შურისძიებას სალამი!“.
საფლავის კარზე მდგომარე,
უდროვოდ მოხუცებული,
ასე მოსთქვამდა თვის ქნარზე
მგოსანი მირონცხებული,
პასუხათ მხოლოდ დუმილი,
სამარე უდროდ გათხრილი
და ძაძა ქვეყნის იმედზე
ჩაგრულთა გულში გაშლილი.

იასამანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



შახი. ყოველ დღე მწერდენ სათარ-ხანი ტყვეთ წავიყვანეთო და შეხედე თავრიზი როგორ გაუმაგრებია?!

სპარსეთის შახი თავრიზს მიადგა.

სპარსთა მეუფე
მაჰომედ-ალი,
სათარ-ხანზედა უზომოთ მწყრალი,
მერანზე კოხტათ
შესკუპებული,
თავრიზს მიადგა განრისხებული.
იმას არ სჯერა
რომ ვიღაც ხანი
მის ჯარებს უძლებს ამდენი ხანი
და თვით ისურვა
ირანის „გმირმა“
(მეზობლისაგან თოფ დანაპირმა,)
ერთი მაგარი
შე●აცხანებით
დაიმორჩილოს ძალით, ან ნებით.
მაგრამ დახედეთ
ამ ხათაბალას!!!
შაჰი წააწყდა საშიშარ ძალას!
კოშკებს მოუცავს
თავრიზის ზღუდე
და ზედ ზარბაზან გადმონაყუდე
თვალსა დაესო
მწვავე ლახვარად,
გულს მოევლინა შიშისა ქარად.
და „გმირი“ იმედ
გაცრუებული,
მრჩეველთა თვისგან მოტყუებული,
ჩაფიქრდა რეთიც
შესწევდა ძალი,
მაგრამ ციხეზე გმირთა სარდალი,
თავრიზის ლომი
ამოიმართა
და ალია შახს ასე მიმართა:
„გასწი ძამია,
თეირანისკენ
განა არ გახსოვს რაც იქ საქმე ჰქენ?
მიდი და ჰკითხე
მეჯლისის ნანგრევს:
წითელი ფერი რისაგან აძევს?
გაეხმაურე
გადამწვარ სოფლებს,
უმწეოთ დაყრილ ქვრივებს და ობლებს,
მიდი, შეეხე
იმ ჯაჭვ-ბორკილებს
ყელზე რომ აძევს მამულიშვილებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰკითხე-თუნდა...,
მაგრამ რის კითხვა
კარზე გადგია დღეს ხალხის რისხვა.
გასწი, გაგვშორდი
ჯერ საპირო ხარ,
ზოგ შეუგნებლებს ჯერაც უყვარხარ“.

მობრუნდა შახი
და უკუ იქცა
არსება მისი დარდმა მოიცა.
მირბის, რომ კაზაკს
ემთხვიოს ხელზე
და შეევაპროს ტყვის მფრქვეველზე.

ეშმაკი და ხოლერა

ეშმაკი. აი, ის პატარა მოედანი რუსების ბაზარია. შენთვის ის ყველაზე უფრო გამოსადეგი ალაგია. არც გვიან, არცა რწყავენ და ათასგვარ მყრალ საქონელსაც იქ ჰყიდიან.

ხოლერა. ეს კარგი, მაგრამ უფრო ბინძური უბანი ნუთუ ადარ მოიპოვება?

ეშმაკი. როგორ არა! მაგაზე უფრო ბინძურიც არის. აი მაგალითად რიყის ქუჩა, ან აბანოების მხარე, თუ გინდა იქ ჩაესახლე.

ხოლერა. არც მაგას უშშავს რა, მაგრამ მაგათზე უფრო მყრალი ადგილი კიდევ ექნება შემონახული თქვენი ქალაქის მამებს.

ეშმაკი. დიახაც ვვაქვს, მაგრამ ეს რა მიზეზიანი რამა ყოფილხარ? თუ ეგრეა დაიწყე ვერის ბოლოდან. იქ, საახნაურო სკოლას ერთი დამპალი ხევი ჩაუდის და ყოველგვარ სიბინძურეს იმაში ყრიან. ხევში წყალი მცირეა და ნაგავი ადგილობრივ იხრწნება.

ხოლერა. ძალიან კარგი, მაგრამ დავიჯერო მაგაზე უარესი სიბინძურე სხვაგან არ მოიქებნება?

ეშმაკი. რას ამბობ ყმაწვილო, უკეთესებიც მოგვეპოვება, მაგრამ ეს განაპირა უბნებშია. აი თუნდ ნაძალადევში, ავლაბარში და მთაწმინდაც ძლიერ შორს არის სიწმინდისაგან.

ხოლერა. მე კიდევ უკეთესი აღმოჩნდება მგონია. ვერ დავიჯერებ შენ რასმე არ მიმალავდე! აბა დაფიქრდი!!

ეშმაკი. რა ვქნა ღმერთმანი, კაცო „საქართველოს“ რედაქციაში ხომ ვერ წაგიყვან და სხვა ამათზე უფრო ბინძური ადგილი აღარ მეგულვება.

ხოლერა. ჰოოო, აი ეს რაღაცა ახალია და ალბათ კარგიც იქნება. მშვიდობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა სცენაზე.

(რეკვნზიის მაგიერ).

(სცენა წარმოადგენს უბრალო ფიცრულ „ბალაგანს“ აგარაკ ბაბმაროზე. კულისებში დიდი ღრიალი და ფაცი-ფუცია. სოფლიდან ამოსული სცენის მოყვარეები, ცნობილ ქუთაურ არტისტის მეთაურობით წარმოსადგენად ემზადებიან. წარმოსადგენად დანიშნულია „დამარცხებულნი“. თეატრში ძლიერი ხმაურობაა, პუპლიკას“ მოუთმენლობა ეტყობა, აქა-იქ ისმის „ვრეშა“-ს ძახილი. მხაურობა თანდათან ძლიერდება. კულისებშიც მოძრაობა მატულობს, არტისტები აქეთ-იქით დარბიან. გაისმის ზარის წკარუნი, „პუპლიკა“ თანდათან წყნარდება. ფარდა აიხდება. სცენაზე ზის ნატალია).

ნატ. (ტკბობა ძლიერ ადელვებულია). ვუ! რა ცხელია მოწყენილობა...

ხმა კულისებიდან. ხმა მაღლა!

ნატ. (გაჯავრებით მიიხედავს კულისებისკენ და გაბაგრძობს ისევ ისე) ვფიქრობ და ვერ მომიგონია...

ხმა კულისებიდან. ხმა მაღლა! ხმა მაღლა!

ნატ. (გაკვესსებული მივარდება კარებთან და უნდა გაიქცეს. კულისებიდან გზას უდობავენ და არ უშვებენ). გაჩუმდი თორემ თავს დავნებებ (ბრუნდება ისევე ხელ-ნაზე და განაგრძობს) ისეთ-რამ, რომ გაკვირთო...

სუფლიორი. ეკვლესფერი გამომიცდია.

ნატ. (თავს დაჩრის სუფლიორისკენ) ას?

სუფლ. ეკვლესფერი გამომიცდია, მარა ჩემს გულს მაინც ვერ აკმაყოფილებს...

ნატ. ეკვლესფერი გამომიცთია... (შეწყვდება).

სუფლ. (ატაკს ქვეშ იფურება და ფეხებს იქნევს). გამიშვი!

ნატ. გამიშვი!

სუფლ. (ეკირის). ვაიმე!

ნატ. ვაიმე!

სუფლ. ვაიმე! მიშვეალეთ! (ეტბთა ამოხტება ბუდეკიდან და ღრიალით კარების კარეი ფეხ-შიშველი. ნატალია შეშინებული ეკუთხეში მოიკუნტება. კულისების ეკვლა კარებზე კაკვერეებული არტისტები მოადგებიან. „ეუშლიეა“ კაკვერეებულია, არ იციან რა მოხდა. ტოტა ხნის შემდეგ შემოდის სუფლიორი, ხელში ფეხ-საცმელი ეუჭირავს და ბოდეშს იხდის). ეკატერ ვაო, ბატონებო, რიგა ბუტკაში ვოჯეკი ატკაკს ქვეშ ვიდაცეანი შემოაქვენ, ჯერ სანთელი წამართვენ, შემდეგ ფეხებში მეცენ და ფეხ-საცმელი წამედოჯენ, მართალი ბუდეკიდან არ უნდა ამოგსულიეკი, მარ ერეი ფეხ-საცმელის ტეტი არაფერი გამიჩნია და რომ წაედოთ დავიდეუბებოდი. (ჩადის ბუდეკში. საკრთო სიცილი. შემოდის ნიკოლა ლაქია).

ნიკოლა (ეკდაშეებს იწკვერტავს, წელზე ხელები შემოედგამს და სიამოვნებით იცინებს). რასწკვიბრძანეს ქალბატონო?

ნატ. (შეუბღვერს და გაჯავრებული წაა მისკენ. ჩუმთ ეურეი ეურეწეედებს). გაგისქდა მაწა!

ნიკოლა. (გაკვირვებული). რა ამბავია ქალბატონო?

სუფლ. (ეკირის). გაჩუმდით! ნუ ჩხუბობთ!

ნატ. (სუფლიორს). ას?

ნიკოლა. (წელში იკრეტება). სწორეთ ვერ გამიგია ქალბატონო რა ამბავია?

ნატ. (გაჯავრებით) წადი ბიჭო ქეთოს დამიძახე! (ნიკოლა კარბის, ნატალი გაჯავრებული ბოდეშსა სცენეს. შემოდის ქეთო. გაჯავრებული მიყვა და სკამზე ჩამოჯდება. ნატალისა და ქეთოს შო ის კარჩდგება დაპარაკი. „ეუშლიეა“ სუდ-ანანაბედი ეურს ეგდებს. სუფლიორის რიხა ხმა ახლო-მახლო სახლებშიც ესმოთ. შემოდის დავითი და ნატალიას ეგვერდით მოუჯდება.

დავითი. (თავისთვის, რიხანით). რომეკლებიც მე ეიმეეეიდებიან... ნაეზოთ, ნაეზოთ! (შემოდის მაშა).

მიშა. მაშა, მე დღეს ერთი ქალი კაკვიანი ისეთი დამაზია დამის „შუაშიო“ დაგდნე (სეეროთ სიცილია, „ეუშლიეა“ ეკდაეს, ქანდარებზე მსხდომი არტისტ-სტუდენტები ეკიმოსნრტრეოულათ გარეთ გაკდან. სცენაზე ადიან და ხეირ-ხეირით ერთმანეთს ეკაჩხეანენ. შემოდის დირექტორი. აქდეემეთთ მადალი, კისერი კანზე მოეკერა, ცხეირზე სათვალეკები წამოეკსეეამეთ და იციანის. მიეკა, ადეეს ქეთოს სკამს და დაჯდება. ეკეკდანი დასხდებიან ქეთოს კარდა. სცენაზე სკამი ადარ არის. შემოდის ნიკოლა. კეკდისებიდან ერთ კარებში სკამს შემოგაგეს სცენაზე. ნიკოლა ვერ სედავს).

ხმა კულისებიდან. ნიკოლა! აიდე სკამი! (ნიკოლას არ ესმის. აქეთ-იქეთ იხედ ბა).

ხმა კულის. აიდე სკამი! (კეკდისებიდან რამდენიმე ხმა ისმის: სკამი აიდეო).

ნიკოლა. (გიყურეთ აქეთ-იქეთ თავდებს აბრიალებს. თავისთვის) ოუ გამოგეკი დეკას გიტრეს მე ოქეკენ.

ხმა კულის. აიდე სკამი შე ვირის თავ!

ნიკოლა. (ეტბთ შეტრება, მარჯვენა ფეხს აეშვერს და ისე გაკარდება კეკდისებში) გამიშეთ! (ხალხნი ხმაურობა და სიცილია. აქა-იქ ისმის დაპარაკი „ნიკოლა ძადლს გაკვიდა“-ო. სცენაზე არტისტები უხერხულ მდგომარეობაში ცეკვდებიან, ადარ იციან რა ქნან. მოქმედება, უფრო ძლიერი, კრძედდება კეკდისებში. ნიკოლა კარკეში შეეფეფოება ქეთოურ არტისტს და აშვერილ ფეხს მაკრთა ჩასვამს მუეკედში. არტისტი შიშისა და ტკივილისკან უკან კადაკრდება. ნიკოლას ქქეთ-იქიდან მისცეკდებიან და იჯერენ. ის გაბრაზებული ეერის „გამიშეთთო“. ქეთოთური არტისტი კარის მიდის და მიიწეკს ნიკოლისკენ. მას არ შეკეგენ. ის გაბრაზებული კარბის კეკდისების მეორე მხრისკენ, ეტბად ისდის ტახზე და კარეთ გაკრდება. ეუნა წადედს. მოქმედება კრძედდება ქეეზეში. ქეთოთურ არტისტს კარს ეხეეგ-ან დასაწრენები და ეხეეწებიან არ წადედს. ბოდოს არტის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი ანხმდება და კუდისებში შედის. მოქმედებ კუდისებში გრძელდება. ქუთათური არტისტი დადგებული ზის. უცბათ, ს

ახალი ამბები

● როგორც ხმა დადის, ახლო მომავალში სტამბოლში და თეირანში გამოვა ახალი „ქართული გაზეთი“. ორივე ქალაქში რედაქტორათ „არტემიუს“-ს ნიშნავენ. თათრულ რედაქციებს ადგილობრივ ქართულ გაზეთების წმინდა მოგებიდან მისცემენ თანხას. „ამირანი“ პირდება თვეში 12000 მან., „ეკალი“ 10000, „ჩვენი კვალი“ 25000, ხოლო „სავაჭრო გზა“ ორ მილიონს.

● ქ. ბათუმში ამ დღეებში მოხდა ქალაქის ხმოსანთა არა ჩვეულებრივი კრება. კრებამ, როგორც ერთმა კაცმა, ერთხმათ დაადგინა დაიქიროს ქალაქმა თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული 200 სტრაჟნიკი შანტაჟისტებთან საბრძოლველათ.

● ს. ჯვარცხმის (გურია) თავად, ვარლამ ერისთავს განუძრახავს თავის დანგრეული ოჯახის აღდგენა. სოფლელები სიხარულით შეგებებიან ამ ფრიად სასიამოვნო ამბავს და აღუთქვამთ ვარლამისათვის 5,460 მან. დახმარება. სოფლელებმა დაადგინეს ეს ფულები სტრაჟნიკების ხელით გადასცენ ვარლამს.

● ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ თურმე ძრიელ იაფ ფასებში იყიდებიან, „ძველი თავის“ ასარჩევათ, „ახალი ხმოსნები“.

● იქიდანვე: ადგილიდან დაითხოვეს ივანე ჯაყელი და დიდი „დიმიტრი“. პირველი—როგორც ქანქარის მოყვარული კაცი და მეორე,—როგორც მეტის-მეტათ ერთგული „მათრახოსანი“.

ხ ო ლ ე რ ა.

ხოლერამ წამოგვიარა,
შევშინდით დიდი პატარა:
„ხოლერით კაცი მოკვდაო“,
გაზეთში ისმის ჩქარ-ჩქარა.
კარგი, რომ დაიგვიანა,
თუ ადრე გაჩენილიყო,
მგონი თბილისში ცოცხალი
არავინ დარჩენილიყო!
მთელი ქალაქი, რომ ყარდა,
ნაგავით სიბინძურითა:
„არავინა გვყავს პატრონი!“
ბევრჯელ გვსმენია ყურითა.
და ესეც შენი პატრონი!
აფერუმ ჩემო ხოლერა,
სწორეთ მადლობის ღირსი ხარ
მართალი გითხრა ზოგჯერა!
იქ ჩნდები შენი ცოცხითა,
სად ნაგავს აყროლებულსა
ტახტი დაუდგამს ბინძური,
ხალხისგან მივიწყებულსა,
გაუსვი, გაასუფთავე,
ადგილი გაფუჭებული,
დახოცე ქია-ღუები,
ნაგავით გასუქებული!..

მ. ლედაშვილი.

დაბა-სოფლები

დ. სამტრედია. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, სამტრედიის სამკითხველოს გამგეები სამკითხველოს ,,სტოროჟს'' ბიქტორ ხუჭუას ამ მოკლე ხანში ქუთაისში გზავნიან საექიმოთ. ამის მიზეზათ გამგეები იმას ასახელებენ, რომ ნოქრების თხოვნა, რომელიც უფასოთ დასწერეს, ბიქტორმა თავის დაწერილათ აღიარა და ნოქრებს ორ-ორ კაპეიკობით მოკრებილი ქანქარი წითელ ნუნუაში და კამათლის თამაშში იმასქნა.

იქიდანვე. მოღვაწეთა რიცხვმა ძლიერ იმატა საზოგადოთ, და ამ შემთხვევაში არც ჩვენი დაბა ჩამორჩა სხვებს. ძლიერ ბევრია საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც თავიანთ უანგარო შრომას არ იშურებენ ტანჯულ ხალხისთვის, მაგრამ არავის აყვედრიან. ასეთია ნამწერლევი ვანო გრიგოლია (რიკა), ვის მოუვიდოდა ფიქრათ თუ ვანო ასეთ შრომას ეწეოდა, მაგრამ ოი საკვირველებავ! თვით ვანოს ბაგეთაგან წარმოდინდა შემდეგი საისტორიო სიტყვები: ,,ბარე სამი ,,ცოციალისტი' ყაზილარი შევგზავნე ქუთაისის ვირის აბანოში''ო, რისთვისაც ვანო ,,პროვიტელსტვენი სტარშინობას'' ითხოვს.

სოფ. ჭაგანი. 8 სექტემბერს, ღვთის-მშობლის დღესასწაული მშვიდობიანად გათავდა. მლოცველებიც აუარებელი დაესწრო. ბოროტ ენებს მუდამ შურთ ასეთი ბედნიერება, და ვიღამაც ხმა გაავრცელა მამა სამსონ შენგელიას თავის უმცროს ვაჟთან რაღაც დიდი ჩხუბი მოუვიდაო. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხი მისცვივდა სამსონის ბინაზე. გამოირკვა, რომ სულ ცოტა ,,ნედორაზუმენიე'' მოსვლოდათ მამას და შვილს; შვილი ამტკიცებდა: ,,ზურნაზე ქეიფი სჯობიაო''. მამასამსონი მთელ მეცნიერებას იმ ოწმებდა, რომ არ

ლანზე ქეიფს, კარტის თამაშს და ქალებთან დროს გატარებას არა სჯობია-რაო. აი ეს იყო და ეს.

სათანა.

—

სუფსა. დღემდე აქ სადგურზე ფოსტით მოსულ წერილებს ხალხი უფასოთ ღებულობდა:

დღეს კი სადგურს მოევლინა
უფროსათ ბაუშტეინი,
(ჩვეულებათ ქონებია
ერთი უხეირო ჟინი):
წერილები დაგვიბაჟა
(ეს არ არის გასაცინი),
სამ-სამ კაპეიკს ღებულობს,
რომ გამართოს ხშირათ ლხინი.

ამას კიდევ გაუძლებდით:
ჯიბგირი გვყავს ნიკიფორე
და თუ ვარგხარ რედაქტორო,
საქციელი გაუსწორე.
სხვის ჯიბეში ხელებსა ყოფს
(უნდა მოგახსენო სწორე)
იგი ამ ზნეს არ დაიშლის
გინდა ათჯერ დააგორე.

ოლოლე.

—

საყულია. (ქუთ. მაზრა). ეს რამდენიმე თვეა სოფელს ჩაციებია ჰაჰია (პარმენი) ნიჟარაძე „იარმუკა" დავაარსე და იჯარით აიღეთო. რადგან უარი მიიღო ყველგან, მოხერხებით ტოროში აალებია ვიღაც საჩინოელს 240 მანათში, რამელიც პატრონთან ერთათ წვრილ მოვაჭრეთ არ აჭაჭანებს სოფელში და გზაზე გავლისთვისაც ბაჟს მოითხოვს.

თამამაძე.

—

გურიანთა.

ძმაო მათრახო? მაცნობე
შენი ეშმაკი სად არი,
განა არ იცი ციხისა
რომ გაგვიძარცვეს საყდარი?!

მართლაცა და ერთობ ჰანდრაკულათ არის ჩვენი საქმე. ნათქვამია: „როცა ღმერთი გწყალობს ხატები რაღას დაგაკლებენო", მაგრამ ჩვენს სოფელს აღარც ღმერთი სწყალობს და მასთან მამა იესეც ანაფორ გაშლილი ეფართხება მძარცველებს

პორფილემც მოძღვარს მიბაძა
და შხამში ლესავს ენასა
რომ არ ჩამორჩეს დაგეშილ
გლახუნს და მაქსიმენასა.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა ამ ოთხ პიროვანი ერთ არსების ერთი ლაზათიანი ჩამათრახისკუდჩასპერმაკუდინება.

კუჩხაის-ჭინკა.

დეპეშები

—

ბათუმი. ყველა ექიმები ქალაქიდან გავიდენ. შანტაჟისტებს გადაუწყვეტიათ ფერშლების მოტაცება დაიწყონ.

ხიდისთავი. საგრძნობლათ აცივდა. ხიდზე მოსეირნეთა რიცხმა ძალიან იკლო. ქორიკანიობა დღითი დღე იზრდება.

ქუთაისი. ქართული თეატრის სეზონი დაიწყო. წარმოდგენებს ხალხი ბლომათ აწყდება. შემოსავალი 10—12 მანათამდე იქნება თითო წარმოდგენებზე, რაიცა არტისტებს მხოლოდ ღვინის ფასათ ყოფნით.

სამტრედია. სადგურის მოსამსახურეებს ჩქარა ჯამაგირებს დაურიგებენ. გიორგები, სერაპიონ და სხვები თითებს ილესავენ „საკარტოთ". ვერ გავიგეთ წინა ჯამაგირზე ვინ დარჩა წაგებული.

ჩოხატოური. აქ შესდგა შანტაჟისტ-ექსპროპრიატორთა ახალი ჯგუფი. განზრახულია ყველა ვექ- რები მოიტაცონ.

პეტერბურგი. დუმის გახსნის მოახლოების შიშით ხოლერამ შესამჩნევათ იკლო. უმთავრესათ პურიშკევიჩისა ეშინია.



წერილი რედაქციის მიმართ.

—

ოფშქვითელი მღვდელი რაჟდენ სანებლიძე გაექცა მისგანვე მოთხოვნილ სამედიატორო სამართალს. მთელი ორი თვე ჩემი მედიატორები მოითხოვენ მისგან მედიატორის დანიშვნას, მარა არაფერი ეშველა. დღეს კორესპონდენტს გვერდს უვლის და „ეშმაკის მათრახის" რედაქტორს იწვევს სამედიატორო სამართალში, რომ კორესპონდენტისგან მოცხებული ჩირქი მოვიცილოვო. (შინაური საქმეები № 19). საკვირველია სწორეთ ამ პატივც. ხუცის ამბავი! თუ ჩირქის მოცილება უნდა ეს ხომ ადგილობრივათ უფრო მოხერხდება და რას მიცივებია რედაქციას. უკანასკნელათ მოვითხოვ მისგან, ნუ ედება ლობე-ყორეს და დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში ჩემ მედიატორებს გააგებიოს ვინაობა თავის მედიატორების და შედგეს სამართალი. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება მექნება საქვეყნოთ უწოდო მას შესაფერი სახელი.

პუჩია.

ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსათუოდ მოდი... ზეგისთვის უსათუოდ სტუდენტების საერთო კრება უნდა მოვიწვიოთ...

ვანო. კარგი, მოვალ! ახლა კი უნდა წავიდე, იცი, რა ცუდი გზა არის ჩემ ბინამდისე? ვაი, თუ ხულიგანები დამიხვდა გზაში. (ჩუმდრამბით).

პეტრე. მიდი ხო, ოთხ საათზე უნ—ში, გესმის?

ვანო. კარგი, კარგი (მიდის) (პეტრე მოუჯდება სტოლს, ანთებს მბეუტავ ლამპას).

მეორე ოთახში.

(გრიშა დაბრუნდება, შევა ოთახში აანთებს ლამპას და წამოწვება).

გრიშა. (დაიკვნესებს, წამოვარდება ტახტიდან, თავზე ხელს მოიპრუს) ოხ ღმერთო! რად დამბადე, რად გამაჩინე თუ ასეთი წვალება მომელოდა! ოოოხ (თმაში ხელს წაიცლებს) აგი სენი! გაგწვალდი, ღმერთო! რა ვქნა? თავი მოვიკლა? ოოხ, ეს რა ჯოჯოხეთური წვალება ყოფილა, ოოხ (თმებს იგლეჯს) დედა ჩემო, აგი სენი მკლავს, აგი სენი! (კვნესით დაეშვება სტოლზე და ტირის).

პირველ ოთახში.

სტეფ. (აღელვებული შემორბის) არა! ახლავე ბარგი უნდა შეკერა და წავიდე, შორს სხვა საუნივერსიტეტო ქალაქში! გადამკიდიან ჯვარი დაიწერეო! ხა ხა ხა.! ძალათ ჯვარის დაწერა ვის გაუგონია! არა, არ შემიძლია... არ მიყვარს და ვერც ვითხოვ.,. არც მზითვი აქვს... არც ლამაზია... (საათს დახედავს),.. სადაცაა მატარებელი წავა, მალე ბარგი უნდა მოკერა... (აწყობს).

მესამე ოთახში.

(შემოდიან ბოქაული, ჟანდარმები და პოლიციელები, პეტრე წამოვარდება)

ბოქაული. თქვენ, პეტრე ღარიბაშვილო, რადგან სტუდენტების კრებებზე ორატორობთ და სიიღუმლო ორგანიზაციის წევრი ხართ, უნდა გაგიხრიკოთ და დაგაპატიმროთ! (თავისიანებს) აბა შეუფიქეთ! (ჩხრეკენ პეტრეს ოთახს, გარედან ისმის მეპურის ხმა: „მაგას, ფული მართებს ჩვენი“.)

მეორე ოთახში.

(შემორბიან მეძავი ქალები ყვირილით, სიცილ ხმაურობით და ცეკვა-სიმღერით).

ხმები ბათში. (შემოეხვევიან გრიშას, რომელიც სტოლზეა დაყრდნობილი) გრიშა ჯან! გრიშა! სად დაგძინებია! სადა ხარ ამდენხანს.. გრიშა რათ არ მოდიხარ ამდენხანს ჩვენთან.. გრიშა!.. ეს რა ამბავია, ხმას რომ არ იღებს! (ჩახედავენ კარგათ) სტირის!.. ეს რა არის ხა, ხა, ხა, (იცინიან) სავყვარელს უდალატია... საყვარელს... ხა-ხა-ხა (ხანგრძლივი სიცილი) გრიშაჯან! (ხელს კიდებენ) გიღალატა საყვარელმა? ხა-ხა-ხა! იმიტომ არ დადიოდი ამ დაბოლოს ჩვენთან ისე ხშირათ?.. ხა-ხა-ხა!.. მაგრე გინდა, მაგრე... ხა-ხა-ხა... წავიყვანოთ... წავიყვანოთ... გავამხიარულოთ... (ძალათ აცმეენ პალტოს, ქუდს ახურავენ და მიყავთ).

პირველ ოთახში.

სტეფ. ახლა, ყველაფერა მზათა მაქვს! (ვიღაც აკაკუნებს) შემობრძანდით!

ალეძსი. (აძღვეს წერილს) ბატონო! ეს მასპინძლის ქალიშვილმა გამოგიგზავნათ! (მიდის)

სტეფანე. (ეახლახით ართმევს, გახსნის, აკანკალებული ხმით კითხულობს) „სა...ყვარელო,... ძვი..რფა...სო .. ცხოვრე...ბაო, სტეფანე! მოვი..სმი...ნე დღეს შენი უკანასკნელი სიტყვები!.. გავიგე... გავიგე ყველაფერი... გავიგე დღეს მხოლოდ, თუ ვინც ყოფილხარ... შენ! შენ არ შეგიწევს იმდენი სინდისი, შენ შეგიძლია მხოლოდ შეურაცყოფა, ფლიდობა, ავაზაკობა და კაცის მოკვლა... შენ მომკალი მე, შენ მოკა...ლი ორი ადამიანი დედა და შვილი.., ის შვილი, რომელიც მე... მე მყავს... მე კი ვასრულებ ჩემს სიტყვებს... უშენოთ მე ამას შემდეგ სიცოცხლე აღარ მინდა და ამ წერილის გამოგზავნისთანავე მე... მი... ვდი...ვარ ამ...ქვეყნიდან... მშვი...დო...ბით... სტე...ფა...ნე! (სტეფ. ამოიოხრებს და დაეშვება ტახტზე) არა... უნდა წავიდე აქედან ჩქარა... ჩქარა... ჩუმათ... უნდა გავიპარო. ამას (ბარგზე ათითებს) ყველაფერს დავტოვებ. ჯანდაბას და გავშვები ამ ქალაქიდან (სიჩქარით იცვამს ქუდს იხურავს, ჩემოდანი ხელით მიაქვს) სუუ... გავიპარები წავალ! (მიდის).

(პოლიციელებს მიყავთ პეტრე).

სვ. კანდი.

---

*
* *

რაცა ცხოვრებამ ხელი შემიწყო
დამშვიდებული ვცხოვრობდი წყნარად,
ფეხზედ მეკიდა მშიერთა გროვა
მათი სიცოცხლე მიჩანდა არად;
როს ცხოვრებიდან გალაღებული
ვიცნობდი მხოლოდ საკუთარ თავსა,
ჩირად ვაგდებდი გაჭირვებულებს
რაც კი შემეძლო ვაძრობდი ტყავსა!
მაგრამ დახე ბედს, საუბედუროდ
მდგომარეობა გამომეცვალა,
და ჩემ მყუდრო და მდორე ცხოვრებას
ცოტა არ იყოს ფერი ეცვალა!!
დადგა დრო სრული გაკოტრებისა
სიმშილიც ვიგრძენ სინამდვილეში,
მაშინ დავრწმუნდი წარსულ ცხოვრებით
ვეოფილვარ მხოლოდ დამპალი ლერში!!
ვსთქვი: რათ ვერ ვიგრძენ სიმშილ-
წყურვილი
ტირილ-გოდება ჩემებრ კაცების?..
იმისთვის, რომ მათ ვერ შეისწავლეს
ხრიკები ჩემებრ გლეჯვის, ტაცების?
მაშ რისთვის მძულდა მუშაკი ხალხი
მეჯავრებოდა დანახვა მათი?.
გაუტანლობა მაძღრისგან მშივრის
ყოფილა თურმე რჯული, ადათი!!
დღეიდან თქვენთან მშიერო ძმებო,
თქვენთან სიცოცხლე, თქვენთან სიკვდ-
ილი,
თქვენებრ უმწეოდ დავძარწი ქუჩაში
გადაბნედილი და ფერ-მიხდილი!!
მაშ მეგობრებო თქვენს ქოხში მეცა
მრწამს რომ მით უფრო გამიღებთ კარებს!
ვისაც სიმშილი თვით არ უგრძვნია,
მშიერებს იგი ვერ შეიყვარებს!!

ოთნა თლუდელი.

სულთანი სადილს იმზადებს.

გუშინ. დაჰკარით ქრისტიანეებს, დაჰკარით მათ … ყველას!

დღეს: ძვირფასო შვილებო, მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენს კეთილდღეობას შეგწირე!

რედაქციისაგან.

„მათრახის" რედაქცია ბოდიშს იხდის ხელის მომწერთა და მკითხველთა წინაშე დროებით გამოცემის შეჩერებისათვის, თუმცა ამაში ბრალი რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებსაც უძევს.

დღეიდან იმედი გვაქვს გაზეთის საქმე უფრო რეგულიარულად იწარმოებს და ასეთ შემთხვევებს ადგილი აღარ ექნება.

ყოველ-კვირეული სახუმარო ჟურნალი

მათრახი

გამოდის ყოველ კვირაობით,

წელიწადში ჟურნალი ღირს 5 მან. წლის დამლევამდე 1 მან. 50 კ.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი 20 კ.

ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Ред. „Матрахи" Теофилу Ерастовичу Болквадзе.

რედაქტორ-გამომც. თ. ე. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა" თფილისი.